27 თებერვალი

წალენჯიხა
2023 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N3

2023 წლის 27 თებერვალს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთ სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციაკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მანანა ჭანია, ნანა ქობალია, გონერ ...რაცხელია. ასევე ესწრებოდნენ: გიორგი დარსალია, ომარ ქარდავა, ეკა სამუშია, მაია მიქავა.

დაწყების დრო: 11:00-სთ.
დასრულების დრო: 11:10-სთ

დღის წესრიგი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „ა(ა)იპ სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი"-ს მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

პროექტის წარმომდგენი: **თამარ კვარაცხელია,** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „ა(ა)იპ სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი"-ს დირექტორი.

2. ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

პროექტის წარმომდგენი: **ლევან ქარდავა,** ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" დირექტორი.

მოისმინეს1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „ა(ა)იპ სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი"-ს მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა, ამავე ცენტრის დირექტორმა თამარ კვარაცხელიამ (ანგარიში თან ერთვის). წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის" დირექტორმა თამარ კვარაცხელია კომისიის წევრებს ესაუბრა მრავალწლიან პრობლემაზე, რომელიც ეხება სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრში შემავალ სამუსიკო სკოლას, რომელიც არის უმძიმეს

ინფრასტრუქტურულ მდგომარეობაში, ასევე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში, ცენტრს აქვს 2 ოთახი, რომელის სახურავი სტიქიის დროს დაზიანდა, ასევე ჯვარის სამუსიკო სკოლის სახურავი არის დაზიანებული და აწვიმს, ეს პრობლემები აუცილებლად არის მოსაგვარებელი.კომისიის წევრების თქმით, მერიას აქვს სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 130000 ლარი და ამ პრობლემის მოწესრიგება მარტივადაა შესაძლებელი.

კომისიის წევრებმა „ა(ა)იპ სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი"-ს ანგარიში დადებითად შეაფასეს და წარმატებები უსურვეს.

მოისმინეს 2. ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა, ცენტრის დირექტორმა ლევან ქარდავამ (ანგარიში თან ერთვის).

კომისიის წევრებმა ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს ანგარიში დადებითად შეაფასეს და წარმატებები უსურვეს.

ამით საკრებულოს კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /რაისა ჩანგელია/